

სურათი როგორც ლექსის წერის იმპულსი უცხო ენის გაკვეთილზე

¹თინათინ მებურიშვილი, ²მირანდა გობიანი

¹აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენის მასწავლებელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

E-Mail: tiniko76@zahoo.de

²აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი

E-Mail: gobianimiranda@hotmail.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია უცხო ენის გაკვეთილზე სურათების გამოყენება, როგორც შემოქმედებითი წერის მოტივაცია. გაანალიზებულია სურათების გამოყენების ფუნქციები და მისი პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, მედიო-სპეციფიკური და დიდაქტიკური არგუმენტები.

სტატიის პრაქტიკულ ნაწილში წარმოდგენილია სტუდენტების მიერ სურათების მოტივებზე შექმნილი ლექსები, ე.წ. *Elfchild*.

საკვანძო სიტყვები: გაკვეთილი, სურათი, მოტივაცია.

სურათები მეტ-ნაკლებად რეალობის მატარებელნი არიან და მათი გამოყენება უცხო ენის გაკვეთილზე თავისთავად მოიაზრებს გაკვეთილის უშუალო კავშირს რეალობასთან. სურათები უცხო ენის გაკვეთილზე უფრო ადვილად გასაგები საკომუნიკაციო საშუალებაა, ვიდრე ტექსტი. მრავალი არგუმენტი არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რატომაა სურათების გამოყენება უცხო ენის შესწავლის პროცესში ასე მნიშვნელოვანი. მათ შორის გამოიყოფა:

- პედაგოგიური არგუმენტი: სწავლა აზრობრივი აღქმით მნიშვნელოვანი პრინციპია პედაგოგიკისათვის.
- ფსიქოლოგიური ასპექტი: სურათით მოწოდებული ინფორმაცია, უფრო ადვილი აღსაქმელია, ვიდრე ენობრივი. სურათი ახდენს უკეთეს ეფექტს, ვიდრე ტექსტები სურათების გარეშე. სურათები ავრცობენ ტექსტს და ჰმატებენ მას ახლა დეტალებს.
- მედიო-სპეციფიკური არგუმენტი: რადგან სურათები უფრო მრავალმნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე ტექსტები, ისინი სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევიან. მათ ესაჭიროებათ მხოლოდ ნათელი და სწორად სტრუქტურირებული დავალების პირობა და ექსპლიციტური მითითებები, რომლებიც სასწავლო მიზანს უნდა შეესაბამებოდეს.
- უცხო ენის დიდაქტიკური არგუმენტი: აღქმას ხედვის ორგანოებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეტყველებისა მოტივაციისათვის, რადგან, რასაც ჩვენ ოპტიკურად აღვიქვამთ, გვამლევს იმპულსს საუბრისთვის, ცოდნის გააქტიურებისათვის და ენაცვლება არავერბალურ კომუნიკაციას (1).

სურათების გამოყენება შესაძლებელია პრაქტიკულად გაკვეთილის მსვლელობის ყველა ფაზაში. განსხვავებულია სურათების გამოყენების ფუნქციებიც.

სახელმძღვანელოების თავფურცელზე, ან შესავალ ნაწილში, ან ახალი თემისა თუ სალექციო კურსის დაწყებისას სურათების ფუნქციაა მოხერხდეს თემატურ-სიტუაციური შემზადება გაკვეთილისა თუ ახალი თემისადმი. ვიზუალური მომზადება გაკვეთილის შესავალ ფაზაში, ახალ თემასთან ან ტექსტთან პირველი კონტაქტის დროს გვიადვილებს და გვეხმარება უკვე ნაცნობი ლექსიკური მასალის გააქტიურებაში.

უცხო ენის გაკვეთილზე სურათების მთავარი ფუნქციაა გამომხატველობითი ფუნქციაა. აქ ხდება საგნის როგორც სინამდვილის დასურათება, სიტუაციის ან ტექსტის შინაარსის ილუსტრირება და მოსწავლისათვის შესაძლებელი ხდება, მაგალითად კონკრეტული საგანი, რომელიც ოთახში დევს, სურათებიდან მიღებული ცოდნით უცხო ენაზე დაასახელოს, ისე რომ არ დასჭირდეს მისი თარგმანი მშობლიური ენიდან.

ენობრივი მასალის ვიზუალიზაციის საშუალებით მოსწავლეები არა მხოლოდ კოგნიტიურად, არამედ ემოციურადაც განეწყობიან ახალი მასალის მიმართ. შესაძლებელია გაკვეთილზე სურათების სწორი გამოყენებით გააქტიურდეს მოსწავლეების არა მხოლოდ ინტერესი, არამედ სურვილი და მოტივაცია ისაუბრონ სწორედ ახალი მასალის დასაწყისში (2).

გამომხატველობით ფუნქციასთან მჭიდრო კავშირშია ინფორმაციული ფუნქცია. იგი გვთავაზობს გარეენობრივი სინამდვილის ვიზუალურ გამოხატვას. ინფორმაციული სურათები უფრო გასაგებია, რადგან ისინი მეტ/ნაკლებად იმ საგნების მსგავსია, რომლებსაც წარმოგვიდგენენ, მაშინ როცა სიტყვები იმ კონვენციებს ეფუძნებიან, რომელიც უნდა წავიკითხოთ და გავიგოთ.

სურათის შემდეგი ფუნქციაა ახსნა-განმარტების ფუნქციაა. ცალკეული სიტყვები ნაკლებად გვიხმარებს საუბრისაკენ, მასში ვერ ჩაეტევა დიდი ინფორმაცია, მაშინ როცა სურათი შეიძლება მთლიან ტექსტს ჩაენაცვლოს

გაკვეთილის იმ ფაზაში, სადაც ხდება მეტყველების ვარჯიში ანუ აქცენტები კეთდება სიტყვათა მარაგის გრამატიკასთან დაკავშირებაზე, სურათები იღებენ იკონურ მახსოვრობით ფუნქციას, რითაც ღრმავდება სიტყვებისა და გრამატიკული სტრუქტურების შესწავლის ენობრივ-ცნებითი მახსოვრობა

რაც უფრო მაღალია ენობრივი დონე, მით უფრო ადვილია სურათების ჩასმა გაკვეთილის იმ ფაზაში, რომელში ხდება ენის გამოყენება, ტრანსფერი. სწორედ ენის მაღალ დონეზე ფლობის დროსაა შესაძლებელი სურათების, განსაკუთრებით ავთენტური სურათების გამოყენება, რათა მოხერხდეს სრულყოფილი თხრობის პროცესი, ინტერპრეტაცია და კომენტარები.

ავთენტური სურათების არჩევისას, თუ გვსურს, რომ მათ გაკვეთილზე თავისუფალი საუბარის ან წერის იმპულსები მისცენ მოსწავლეებს, ყურადღება უნდა მიექცეს შეძლებისდაგვარად ღია და მრავალმნიშვნელოვანი სურათების არჩევას.

იმ სურათებისაგან განსხვავებით, რომლებიც ახდენენ მოსწავლეებში ფანტაზიის გაღვიძებას, ერთმნიშვნელოვანი სურათები მხოლოდ მაშინაა კარგი, როცა, მაგ. საქმე ეხება კონკრეტული თემის სიმულაციას (3).

ხელოვნების ნიმუშების გამოყენების თვალსაზრისით დადგენილია, რომ ასეთი სურათებით შესაძლებელია როგორც ინფორმაციის მიწოდება, წერის ან საუბრის მოტივაცია, ასევე ინფორმაციის მიღება კულტურისა და ქვეყანათმცოდნეობის შესახებ და ზოგადად პიროვნების მსოფლმხედველობის გაღრმავება.

მნიშვნელოვანია ის, რომ სურათები იძლევა საუბრისა და წერის სტიმულს. შესაძლოა ვიზუალური იმპულსებით სხვადასხვა ტექსტის სახეობების შექმნა, როგორცაა დიალოგი, მოხსენება, პროტოკოლი, მონოლოგი, ისტორია, ინტერვიუ, ან სულაც, ლექსების.

ამის შესანიშნავი მაგალითია ე. წ. Elfchen, პატარა ლექსი, რომლის გამოყენებაც უცხო ენის გაკვეთილზე შეიძლება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე. Elfchen-ის სახელწოდება მისი სტრუქტურიდან მომდინარეობს. ეს არის 11 სიტყვიანი ლექსი, რომელიც უმეტესად 5 სტრიქონისაგან შედგება. Elfchen-ის ძირითადი სტრუქტურა ასეთია:

1 სტრიქონი: 1 სიტყვა

2 სტრიქონი: 2 სიტყვა

3 სტრიქონი: 3 სიტყვა

4 სტრიქონი: 4 სიტყვა

5 სტრიქონი: 1 სიტყვა

თუმცა, შესაძლებელია შემდეგი სტრუქტურის გამოყენებაც:

1 სტრიქონი: 2 სიტყვა

2 სტრიქონი: 3 სიტყვა

3 სტრიქონი: 4 სიტყვა

4 სტრიქონი: 2 სიტყვა (5)

Elfchen-ის გამოყენება უცხო ენის გაკვეთილზე ხელს უწყობს შემოქმედებითი წერის უნარის განვითარებას. ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია ლექსი დაწეროს უცხო ენაზე, თუმცა უნდა მივუთითოთ, რომ წესების დაცვა აუცილებელია, ანუ მათი ქმნილება უნდა შედგებოდეს აუცილებლად 11 სიტყვისაგან.

Elfchen-ის შექმნა ჩვენი სტუდენტებისათვის საკმაოდ საინტერესო პროცესს წარმოადგენს. სახელმძღვანელოში, რომლითაც ისინი სწავლობენ გერმანულ ენას - Schritte international 3 მე-7 ლექციაში ერთ-ერთ დავალებად მოცემულია Elfchen-ის დაწერა (4). ლექციის თემაა „დღესასწაულები და საჩუქრები“ და სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით უნდა დაწერონ სტუდენტებმა 11 სიტყვიანი ლექსი. სახელმძღვანელოში Elfchen-ის სტრუქტურა შემდეგნაირია:

1 სტრიქონი: რა? დაასახელებთ საჩუქარი (2 სიტყვა)


2 სტრიქონი: ვისთვის არის საჩუქარი? დაასახელებთ პიროვნება (3 სიტყვა)

3 სტრიქონი: რას ყიდულობთ/ჩუქნით თქვენ? ვის? (4 სიტყვა)

4 სტრიქონი: დასკვნის სახით დაწერეთ 2 სიტყვა.

ამ დავალების საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ გაიმეორონ და განამტკიცონ ლექციის თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკური მარაგი და გრამატიკული მასალა. უნდა აღვნიშნოთ, რომ Elfchen-ი, როგორც შემოქმედებითი წერის უნარის განვითარების საშუალება, ჩვენ წარმატებით გამოვიყენეთ პროექტში: Wir slammen auch auf Deutsch. სტუდენტებს შევთავაზეთ რამდენიმე სურათი, ძირითადად ცნობილი მხატვრების ნამუშევრები. მათ დაევალათ პარტნიორთან ერთად დაეწერათ Elfchen. სტუდენტებს შეეძლოთ შეთავაზებული სურათებიდან თავად აერჩიათ ის ნამუშევარი, რომელიც მათ განსაკუთრებულად მოეწონებოდათ და 11 სიტყვის მეშვეობით გადმოეცათ საკუთარი ემოციები და შთაბეჭდილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი ამ დავალებას. აქვე გთავაზობთ მათ მიერ შექმნილი რამდენიმე Elfchen-ის ნიმუშს:



Schönheitsvorbild,
geheimnisvoll, arrogant,
irgendwann in Ägypten
hat sie Make-up gebraucht,
elegant.



Frau,
traurig, hoffnungslos,
auf dem Sofa
sitzt allein, ohne dich,
unglücklich.



Mondhell
Still, weiß
im beschneiten Wald
Weihnachten, schön geschmückter Tannenbaum
Winter

როგორც ვხედავთ, Elfchen-ის შექმნა არც ისე რთული და, ამავდროულად, ძალიან სახალისო პროცესია. სურათების გამოყენება ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მომგებიანია, რადგან მათი აღქმა ხდება სწრაფად და იწვევს სხვადასხვა ემოციებს და, შესაბამისად, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. Elfchen-ის შექმნა ხელს უწყობს სტუდენტებში შემოქმედებითი წერის კულტურის ჩამოყალიბებას და ენობრივი

კომპეტენციების განვითარებას. იმისათვის, რომ უცხო ენის გაკვეთილზე სურათების გამოყენებით სასურველი შედეგი მივიღოთ, საჭიროა შემდეგი საფეხურების გათვალისწინება: სურათის ვიზუალური აღქმა, ჰიპოთეზების შექმნა, სურათის აღწერა, ინტერპრეტაცია, შეფასება, ასევე დავალების პირობის მკაფიოდ ფორმულირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Znajojm, W.: *Über die Funktion der Bilder im DaF-Unterricht*. unter: www.4lomza.pl, (Stand: 13.02.2012);
2. Vladu, D.: Die Rolle der Bilder im DaF-Unterricht auf Grundschulniveau. *Neue Didaktik* 2009/1;
3. Reck, C: Die Mehrdeutigkeit von Bildern. *Mit Sprache*. 2004, Nr 13, Herbst/Winter;
4. Hilpert, S./Kerner, M./Niebisch, D./Specht, F./Weers, D./Reimann, M./Tomaszewski, A: *Schritte International 3. Niveau A2/1*. Ismaning: Hueber Verlag, 2011. Bd.1;
5. Huth, M.: *Das Elfchen im DaF-Unterricht*. unter: <http://www.manfred-huth.de/fbr/unterricht/sek/elf.html> (Stand: 11.11.2013).

ტექსტში გამოყენებული ცხრილები, დიაგრამები, სურათები:

1. სურათი-3.